

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი

ბ/ კალენდარული გეგმა

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1;

ნახაზი მო-2;

ნახაზი მო-3

ა/ განმარტებითი ბარათი

1 სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ვ. გორგასლის მე-3 შეს. №1-ში. ნაგებობა გესებრი ფორმისაა, სამსართულიანია. საძირკველი---ეორექვისაგან, კედლები---წითელი აგურისაგან, სართულშუა და სხვენის გადახურვა----- ხისგან, სახურავი მოწყობილია ხის ნივნივებზე და დაფარულია ლითონის ფურცლებით. მზიდ კედლებში და ღიობებში არის ბზარები. პირველი სართულის გადახურვა ამორტიზირებულია. მიშენება საჭიროებს რეკონსტრუქციას. შენობის მზიდი კონსტრუქციების დეფორმაციების მიზეზები შემდეგია:

- ფუძე გრუნტის გაწყლიანება;
- მზიდი კონსტრუქციების ხანდაზმულობა და ცვეთა.

2 წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს დარჩენილი გამაგრებითი სამუშაოების შესრულებას, კერძოდ :

- ფასადის ორივე მხრიდან ტორკრეტირებას;
- ღიობების გამაგრებას ლითონის კონსტრუქციებით;
- პირველი სართულის ხის გადახურვის შეცვლას რკინაბეტონის გადახურვით;
- ხის აივნის რეკონსტრუქციას;
- კარ-ფანჯრის ბლოკების განახლებას და მონტაჟს
- კედლების შეღესვას-შედებვას
- სამღებრო სამუშაოებს..

ტექნოლოგიური სქემა ტორკრეტ-ბეტონით გაძლიერების დროს

- სამუშაოს დაწყებამდე უნდა მოხდეს კონსტრუქციის ზედაპირის გაწმენდა სპეციალური აპარატით;
- ხერელების გაკეთება გათვალისწინდეს ან სანგრევი ჩაქუჩებით ან სპეციალური დანადგარით;
- საარმატურო კარკასების და ყალიბების მომზადება განხორციელდეს სტენდებზე;
- კარკასების და ყალიბების აწევა მოხდეს ტროსებით;
- ბეტონის მიწოდება ადგილზე განხორციელდეს სპეციალურად მომზადებული ხერელებიდან;
- ბეტონის მიწოდების მიმართულება უნდა იყოს პერპენდიკულარული;
- ტორკრეტირობის დროს “სოპლო”-ს მოძრაობა უნდა იყოს წრიული

ამ პროცესში საჭირო მანქანა-დანადგარის სია:

- ლენტური ბეტონის ტრანსპორტიორი /ბეტონის მიწოდება შიდა სივრცეში, საჭირო ადგილზე/;

- ღენტური მოძრავი ბეტონის დანადგარი / ბეტონის მიწოდება შიდა სივრცეში/;
- ბეტონის ტუმბო /ბეტონის მიწოდება სამშენებლო მოედანზე/;
- ტორკრეტირობის დანადგარი /ტორკრეტის გაკეთება/;
- კომპრესორი /შეკუმშული ჰაერის მიწოდება/;
- პნევმოდანადგარი /ბეტონის მიწოდება საჭირო ადგილზე/;
- გამანაწილებელი ისარი /ბეტონის ნარევის განაწილება/;
- სანგრევი ჩაქუჩები /ხვრელების მომზადება/.

ტექნოლოგიური სქემა ლითონის კონსტრუქციებით გაძლიერების დროს

- შიდა სივრცეში ლითონის კონსტრუქციების დაყენებისას გამოყენებული იქნას ჯალამბარი /ან ელექტრო ან ხელის/;
- მომზადებული უნდა იყოს საყრდენი კვანძი;
- სამონტაჟო კონსტრუქციების დაყენების დროს, რომ არ მოხდეს ელემენტების “გაცურება,” გათვალისწინდეს სამაგრი კვანძი არსებულ კონსტრუქციებზე;
- საყრდენ კვანძში ყურადღებით უნდა განხორციელდეს დასაყენებელი ელემენტის ფიქსაცია;
- მიწოდებული უნდა იყოს ადგილზე ბეტონის ნარევი /მიწოდების მეთოდი იხილე ზემოთ, აღნიშნულ ბარათში/;

ამ პროცესში საჭირო მანქანა-დანადგარის და ინსტრუმენტების სია:

- სანგრევი ჩაქუჩები /ხვრელების მოწყობა/;
- ბეტონის ტუმბო შლანგებით /ბეტონის ნარევის მიწოდება ადგილზე/;
- კომპრესორი /შეკუმშული ჰაერით უზრუნველყოფა/;
- პნევმოდანადგარი / ბეტონის ნარევის მიწოდება ადგილზე/;
- ჯალამბარი /კონსტრუქციების მონტაჟი/;
- შემდუღებელი აპარატი /სამუშაოების განხორციელება/;
- მოძრავი ხარახოები /სამუშაოების განხორციელება/;
- ყალიბი /სამუშაოების განხორციელება/;
- საარმატურო, საყალიბე, ბეტონის და სამონტაჟო სამუშაოებისათვის ინსტრუმენტები;

საერთო შენიშვნები:

სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

ყველა სარეკონსტრუქციო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა კონსტრუქციის გამაგრება. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს მარტო ხელით!

სამუშაოების წარმოებისათვის უნდა მოხდეს:

- სარდაფის სრული გასუფთავება;
- სარდაფის სივრცის უზრუნველყოფა ვენტილაციით და სინათლით;
- .

3 ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СНиП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია 6 თვე

4. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – “მშენებლობის უსაფრთხოების წესები”-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შეასრულა



ბელა გოგოლაური

ბ/ კალენდარული გეგმა T=6.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	თვე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
II	ძირითადი პერიოდის სამუშაოები																			
	მეორე ეტაპი																			
	-ლითონის კონსტრუქციებით გამაგრება— 1084.26კაც/სთ; -მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების ჩატარება---683.42კაც/სთ; -კედლების გამაგრება-----980.45 კაც/სთ.	5.0																		
	მესამე ეტაპი																			
	-ახალი შუშაბანდის მოწყობა-----258.16კაც/სთ; -შედგება-შეღესვა---1655.43 კაც/სთ; -სახურავის მოწყობა-----472.62 კაც/სთ; -კარ-ფანჯრების დაყენება----168.74 კაც/სთ; -გარე ხარახოების დაყენება და დაშლა-გატანა--- 342.41 კაც/სთ.	4.5																		
III	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30


N	სამუშაოს დასახელება	თვე	4 თვე						5 თვე						6 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
II	ძირითადი პერიოდის სამუშაოები																			
	მეორე ეტაპი																			
	-ლითონის კონსტრუქციებით გამაგრება— 1084.26კაც/სთ; -მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების ჩატარება---683.42კაც/სთ; -კედლების გამაგრება-----980.45 კაც/სთ.	5.0																		
	მესამე ეტაპი																			
	-ახალი შუშაბანდის მოწყობა-----258.16კაც/სთ; -შედესვა-შედებვა----1655.43 კაც/სთ; -სახურავის მოწყობა-----472.62 კაც/სთ; -კარ-ფანჯრების დაყენება----168.74 კაც/სთ; -გარე ხარაჩოების დაყენება და დაშლა-გატანა--- 342.41 კაც/სთ.	4.5																		
III	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		

4615150

484600

სამშენებლო გეგმა

მასშტაბი: 1:200



აქსლიანია

- 1 სარეკონსტრუქციო შენობა
- 2 საშენობო შენობის ოთახი
- 3 დროებითი დანართი საფარი
- 4 დროებითი საინჟინერო
- 5 დროებითი ხარაბი
- 6 დროებითი ღობე

პროექტი ადრესები


- სარეკონსტრუქციო შენობა
- დროებითი შენობა
- დროებითი ხარაბი
- დროებითი ღობე

შენიშვნა: საშენობის განხორციელება მოხდება ხელის

484650


4615100

დროებითი ხარაჩოების დაყენების სქემა 01:100




შენიშვნა: დროებითი ხარაჩოების დაყენების სქემა დაუსტეს ადგილზე

ბატონის ნარკვის მიწოდების სქემა ლანტუარი ტრანსპორტირებით



- ექსპლიკაცია
- 1 ხარკი
 - 2 ლანტუარი ტრანსპორტიორი
 - 3 კარი
 - 4 ჯალი
 - 5 სტენდი

სქემის წილი



შენიშვნა: ნიშანდგარა ნახაი იხილუ პროექტის განმარტებით ბარათთან ერთად.